



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 550

19 ნოემბერი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ. №01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ. 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და, ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ. №01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ. 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 ნოემბრის №21.1608.1794 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ. 405159340) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2020 წლის 3 სექტემბრის განკარგულება №20.1004.1254) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2020 წლის 8 სექტემბრის განკარგულება №235) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ. №01.18.06.018.052) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა შენობა-ნაგებობის (სამივე ბლოკის) საერთო სამშენებლო ფართობით - არაუმეტეს 61

925 კვ.მ. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) დარჩეს უცვლელი და განისაზღვროს 7,4-ით;


ბ) დაინტერესებულმა პირმა (შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ (ს/ნ 405159340)) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე წარმოადგინოს საექსპერტო შეფასება პროექტის ფარგლებში ავტოსადგომების ტერიტორიაზე გაწეული და გასაწევი სამუშაოების მოცულობებისა და დანახარჯების შესახებ, რომლითაც დადასტურდება რომ, ავტოსადგომების რაოდენობის შემცირება არ გამოიწვევს IRR-ის გაზრდას, შესაბამისი საექსპერტო შეფასებით წარმოდგენილი დასკვნა განისაზღვროს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების პირობად;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა (შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ (ს/ნ. 405159340)), წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის დასკვნა სამშენებლო ხარჯთან და ფართების სარეალიზაციო ფასებთან მიმართებაში (კერძოდ თუ როგორია ფინანსური ბალანსი მშენებლობის ხარჯსა (ყველა ვალდებულებების ჩათვლით) და მისაღებ წმინდა მოგებას შორის), განახლებული ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;

დ) დაინტერესებულმა პირმა (შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ (ს/ნ. 405159340)), მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

 გიორგი აბულაძე